

თავი 34 სახალისო კენკრა

ჯონათანს ვერ გადაეწვივია გზა საით გაეგრძელებინა როდესაც მას მსუქანი, ფეთხუმად ჩაცმული ქალი ფრთხილად მიუახლოვდა. მას აბურძგნული, გულისამრევი თმა ჰქონდა და ღამიერი ჭაობის სუნი ასდიოდა. მაისისმა უკან დაიხია.

– ეი! გინდა, თავი ძალიან მაგრად იგრძნო? – ნერვიულად ჩასჩურჩულა ჯონათანს, რომელმაც მას ზიზლით შეხედა.

– გინდა, თავი ძალიან მაგრად იგრძნო? – დაძაბული ხმით გაიმეორა ქალმა.

ამორალურ საქციელთან დაკავშირებით პოლიციელისგან ამდენი რამის შეტყობის შემდეგ ჯონათანმა არ იცოდა რა პასუხი გაეცა. მაგრამ ცხადი იყო, მის წინ მდგომი ქალი სექსუალურ მომსახურებას არ სთავაზობდა, ჯონათანმა პატიოსანი, ჭკვიანი ადამიანისთვის შესაფერისად, სიმართლის თქმა ამჯობინა:

– ნუთუ ვინმეს არ სურს კარგად ყოფნა?

– წამომყევი, – თქვა ქალმა და მას ხელი ჩაავლო.

ისინი ბნელი, ჭუჭყიანი გასასვლელით ჩაუყვნენ ქუჩას, რამაც ჯონათანს იმდენად ცხადად შეახსენა დაყახლება, რომ მან მოშორებით მიყოლა არჩია, მყრალი სუნისგან თავის დასაღწევად კი სუნთქვაც შეიკრა. სანამ რაიმეს თქმას მოასწრებდა, ქალმა ჯონათანი ოთახში შეიყვანა, კარი მოაჯახუნა და კლიტე გადარაზა, მერე მაგიდასთან მდგარ სკამზე მიანიშნა, ჩანთიდან სქელი სიგარების მომცრო კოლოფი ამოაცურა, ასანთს გაჰკრა და გვარიანი ნაფაზი დაარტყა.

ჯონათანი შეიშმუშნა და იკითხა:

– რა გნებავთ?

ქალმა ბოლქვებად გამოუშვა ბოლი პირიდან და უხეშად თქვა:

– სახალისო კენკრა გინდა?

– ეგ რა არის?

ქალმა ეჭვით მოჭუტა თვალები:

– ნუთუ სახალისო კენკრის შესახებ არაფერი გსმენია?

– არა, – ჩაბუტბუტა ჯონათანმა და წამოდგომა სცადა, – არა მგონია, თქვენი შემოთავაზება მაინტერესებდეს. გმადლობთ!

ქალმა დაჯდომა უბრძანა, ჯონათანი თავისდაუნებურად დაემორჩილა.

– აქაური არ ხარ, თუ რა გჭირს? – იკითხა მან, სიგარა კიდევ ერთხელ გააბოლა, თან თვალს არ აშორებდა.

– არა, აქაური არ ვარ.

ჯონათანს შეეშინდა, რომ ქალი ახალი ახალმოსული ადამიანის შესახებ განაცხადებდა, თუმცა, სანამ რამეს იტყოდა, ქალმა ყურისწამლებად იკივლა:

– ცრუ განგაში ყოფილა! გამოდი, დუბი!

უეცრად სარკის მიღმა მდებარე საიდუმლო კარი გაიღო, საიდანაც პოლიციელი გამოჩნდა.

– როგორაა საქმეები, მეგობარო? – იკითხა მან და ჯონათანს ხელი გაუწოდა, – მე დუბი ვარ, ეს კი ჩემი პარტნიორი მერი ჯეინია. გვაპატიეთ შეწუხებისთვის, მაგრამ საიდუმლო აგენტები ვართ და სახალისო კენკრით ვაჭრობას ვებრძვი.

მერე კი მერი ჯეინს მიმართა და დასძინა:

– შიმშილით ვკვდები. რამე ხომ არ გვეჭამა?! ბიჭსაც გავუმასპინძლდე.

წყვილმა სამზარეულოს კარადებიდან ყუთების, შეკვრების, ბოთლებისა და ქილების გამოლაგება დაიწყო. საჭმელი! როგორც იქნა, ჯონათანმა შვევით ამოისუნთქა და მდიდრული სუფრის დანახვაზე ნერწყვი მოადგა. რა გინდა სულო და გულო... მაგიდაზე ახალი პური, კარაქი და მურაბა, ყველი, შოკოლადის კანფეტები და სხვა ნუგბარი საჭმელები იწონებდა თავს. დუბიმ ნამცხვრის მოზრდილ ნაჭერს დაავლო ხელი და კარაქი და მურაბა თითებით წაუსვა, მერე კი გამოტენილი პირით ჯონათანს მიიპატიჟა სუფრასთან.

– „სახალისო კენკრის გუნდისთვის“ არანაირი პოლიტიკური კაფექტები არ არსებობს, არა, მერი ჯეინ?

ქალმა მხოლოდ თავი დაუკრა პარტნიორს, რადგან კანფექტებით გამოტენილი პირით სიტყვასაც ვერ ძრავდა.

ჯონათანმა ჯემიანი პური პირისკენ გაიქანა.

– სახალისო კენკრა რა არის? – იკითხა მან საუბრის გაბმის მიზნით.

მერი ჯეინმა ფინჯანში ყავა დაასხა და სამი სავსე კოვზი შაქრით დაატკბო, მერე სქელი ნაღებიც ჩაუმატა და თქვა:

– მართლა არ იცი? სახალისო კენკრა აკრძალული ხილია. ჩემგან მათი ყიდვა რომ მოგენდომებინა, გისოსებს მიღმა სულ მცირე, ათი წლით აღმოჩნდებოდი.

ჯონათანმა ხმაურით გადაყლაპა ლუკმა – ნუთუ ციხეს ბეწვზე გადარჩა?! მერი ჯეინმა და ღუბიმ ერთმანეთს გადახედეს და ჩაიქირქილეს.

– რა არის ცუდი ამ კენკრაში? ავადმყოფობას იწვევს? თუ ადამიანებს აგრესიულს ხდის?

– უარესი! – თქვა ღუბიმ და ჯემიან-კარაქიანი ლოყები სახელოთი გაიწმინდა, – სახალისო კენკრისგან ადამიანები თავს შესანიშნავად გრძნობენ, ჩუმად სხედან და ოცნებობენ.

– ფუ, რა საზიზღრობაა, – დასძინა მერი ჯეინმა, მსხვილ სიგარას მოუკიდა და ღუბის გადააწოდა, მერე კარაქიან ხმიადს მდნარი ყველის სქელი ფენა წაუსვა და ჩაიბუტბუტა, – ეს ხომ რეალობიდან გაქცევაა.

– დიას, – სავსე ყბებით ჩაილაპარაკა ღუბიმ და იარაღიანი ქამარი შეისწორა. ჯონათანს არასდროს ენახა ადამიანი, რომელსაც საკვების ასე სწრაფად შესანსვლა შეეძლო, – დღესდღეობით ახალგაზრდებს საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება სურთ და სახალისო კენკრის საშუალებით ცდილობენ მისგან გაქცევას. ჩვენ კი მათ რეალობაში ვაბრუნებთ და ციხეში ვუკრავთ თავს.

– ნუთუ ეს მათთვის უკეთესია? – იკითხა ჯონათანმა და ღუბის ხელსახოცი მორიდებით მიაწოდა.

– რა თქმა უნდა, – წამოიძახა მერი ჯეინმა, – ღუბი, ვისკის დაღევ?

ღუბიმ გაიღიმა და ქალს ქონიანი ჭიქა გაუწოდა. მერი ჯეინმა იგი უეტიკეტო ბოთლიდან რაღაც ყავისფერი სითხით გაავსო და კვლავ ჯონათანის მიერ წამოჭრილ საკითხს დაუბრუნდა:

– საქმე ის არის, რომ სახალისო კენკრას ძალე ეჩვევიან...

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ სულ მეტი და მეტი გინდა. ისეთი შეგრძნება გაქვს, რომ მათ გარეშე სიცოცხლეს ვერ შეძლებ.

ჯონათანი წუთით დაფიქრდა.

– საჭმელივითაა? – მისი ხმა ღუბის მქუხარე ბოყინის ფონზე ძლივს გაისმა.

ამ უკანასკნელმა კმაყოფილებით ჩაიხითხითა, მეორე ჭიქა ვისკიც გადაჰკრა და სიგარის ბოლი შეისრუტა.

– არა, არა. სახალისო კენკრას არანაირი ენერგეტიკული ღირებულება არ აქვს, მეტიც, იგი ჯანმრთელობისთვის საზიანოა. მერი ჯეინ, საფერფლე მომაწოდე.

– ჰოდა, რადგანაც სახალისო კენკრა ჯანმრთელობას ზიანს აყენებს, – თქვა მერი ჯეინმა და შოკოლადის კანფეტს ყავა მიაყოლა, – საზოგადოების ამ ნაწილის სამკურნალოდ გვარიანი თანხების გადახდა გვიწევს. გულისხმიერმა საბჭომ თითოეული ასეთი ადამიანისთვის თანხის გამოყოფა მოითხოვა, თან მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად სულელურია მათი ჩვევები ან საქციელი. სწორედ ამიტომ, სახალისო კენკრის მომხმარებლები მძიმე ტვირთად გვაწევს კისერზე.

– თუ ადამიანი საკუთარ თავს აყენებს ზიანს, მისი სისულელისთვის თქვენ რატომ უნდა გადაიხადოთ? – შესძახა ჯონათანმა.

– ეს ერთადერთი ადამიანური რეაქციაა, – თქვა უკვე გვარიანად შეხარხოშებული ღუბიმ, თან ყოველ სიტყვაზე ხელებს უმისამართოდ იქნევდა, –

ჩვენ ადამიანების ყველა პრობლემა უნდა გადავწყვიტოთ. ღორღებს ამისთვის დიდი თანხების გადახდა უწევთ – ისეთ პრობლემებს ვგულისხმობ, როგორც ჩვენი ხელფასების გადასახდელად და დიდი ციხეების შესანახადაა საჭირო. არ დაგავიწყდეს, რომ შარშან, მძიმე წლის გამო, ღორღთა საბჭოს თამბაქოს, შაქრისა და რძის პროდუქტების მწარმოებელთათვის მოუწიათ გადახდამ. ხალხი რამით ხომ უნდა გამოკვებო, არა? გადასახადები ამ და სხვა უამრავ პრობლემას ადვილად წყვეტს. ისინი ავადმყოფ ადამიანებზე ზრუნვას ხმარდება. ეს ერთადერთია, რისი გაკეთებაც ცივილურ საზოგადოებას შეუძლია. მერი ჯენ, ვისკი მომაწოდე, გთავაყვა.

მერი ჯენმა მას დოქი გადასცა, თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა და ანთებული სიგარიდან ახალ ღერს გადაუკიდა. დუბი გაჩერებას არ აპირებდა.

– იმდენად, რამდენადაც ჩვენ ადამიანების დახმარება გვაკისრია, უნდა ვიცოდეთ, რას აკეთებს თითოეული მათგანი.

– ჩვენ? – იკითხა ჯონათანმა.

დუბიმ გულიანად დააბოყინა და ბოლიში მოიხადა, მერე პერანგის ჯიბიდან აბებით სავსე მომცრო ქილა ამოაცურა და უპასუხა:

– როდესაც ვამბობ „ჩვენ“, კონკრეტულად შენ ან საკუთარ თავს კი არ ვგულისხმობ?! ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკური ლიდერები ჩვენს ნაცვლად წყვეტენ, რა არის კარგი საქციელი და ვის უნდა აზღვევინონ ცუდი ქცევისთვის. როგორც ჩანს, კარგი საქციელია, როდესაც ვიდაცის ცუდი საქციელისთვის იხდი ფულს. მერი ჯენ, ნუთუ აზრს ხედავ ამაში? ასეა თუ ისე, ღორღები არასდროს ცდებიან, როდესაც ჩვენს მაგივრად წყვეტენ, რა უნდა გაგაკეთოთ, – დუბი წამით შეჩერდა, რათა რამდენიმე პატარა, წითელი აბი გადაეყლაპა და ენის ბორძიკით განაგრძო, – უცნაურად ჟღერს, მაგრამ, როცა სიტყვას „ჩვენ“ ვამბობ, მათ ვგულისხმობ. მერი ჯენ, ნერვების დასაწყნარებლად ერთი-ორ აბს ხომ არ დალევდი?

– გმადლობთ, ჩემი ვარდისფერი დამაწყნარებლები გაცილებით სწრაფად მოქმედებს. დღეს ისე ვერ დავიწყებ, თუ ყავა და ერთი აბი არ მივიღე. აჰა, გასინჯე თუ გინდა, თანამედროვე, ლეგალური მედიცინის საუკეთესო ნაწარმია, – თქვა მან და პარტნიორს მეტალის მომცრო ყუთი გადაუგდო.

ჯონათანს ის პოლიტიკოსები გაახსენდა, რომელთაც უკვე შეხვედროდა.

– განა ღორღები საკმარისად ბრძენი ადამიანები არიან იმისთვის, რომ სხვებს ქცევის წესები უკარნახონ?

– ვინმე ხომ უნდა იყოს ასეთი?! – დაიდრიალა დუბიმ და სკამზე შექანდა. მერე ვარდისფერი ტაბლეტებითა და ნამცხვრით გამოტენილი პირის ჩასაწმენდად ვისკი გადაჰკრა და ჯონათანს მიაშტერდა, – თუ ადამიანები არასწორად იქცევიან, ამ თაღლითებს ვირის აბანოში ვუკრავთ თავს და პასუხისმგებლობას ვასწავლით.

დუბიმ თანამეინახეებს დალევდა დააძაღა.

– არა, გმადლობთ, – უპასუხა ჯონათანმა, – „პასუხისმგებლობაში“ რას გულისხმობთ?

მერი ჯენმა ყავაში ცოტაოდენი ვისკი ჩაისხა და შაქარი და ნაღებიც ჩაამატა.

– არ ვიცი, რა გითხრა... დუბი, აუხსენი ჩვენს სტუმარს.

– ჰმ! მაცადე, დავფიქრდე, – დუბი სკამიანად უკან გადაიხარა და სიგარეტს მოქაჩა. წონასწორობის შენარჩუნება რომ მოეხერხებინა, ნამდვილად ბრძენს დაემსგავსებოდა, – პასუხისმგებლობა, ალბათ, საკუთარ ქმედებათა შედეგების უპირობოდ მიღებაა. დიახ, ნამდვილად ასეა! როგორ გითხრა, ეს კაცად ჩამოყალიბების, გამოცდილების მიღების ერთადერთი გზაა.

სანამ დუბი პასუხისმგებლობის განმარტებას ცდილობდა, მის გარშემო შეგროვილი კვამლი უფრო და უფრო გაუმჭვირვალე ხდებოდა.

– არა, არა, – შეაწყვეტინა მას მერი ჯენმა, – ეს ზედმეტად ეგოისტური განმარტებაა. პასუხისმგებლობა სხვების ქმედებებზე პასუხისმგებლისთვის მზადყოფნაა. ანუ, როდესაც სხვებს საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების უფლებას არ აძლევ და საკუთარი თავისგანვე იცავ.

– რა არის ეგოისტური? საკუთარი თავის მოვლა თუ სხვებზე ზრუნვა? – იკითხა ჯონათანმა.

– ამის გასარკვევი ერთადერთი გზა არსებობს, – თქვა ღუბიმ და ისე სწრაფად წამოდგა, სკამმა იატაკზე მოაძინა ზღართანი, – მოდი, დიდ მოაზროვნესთან მივიყვანოთ. მხოლოდ მას შეუძლია ახსნას, რა არის პასუხისმგებლობა.